ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3593401

ნომერი: AR1545608

თარიღი : 30.09.2017

გაცემის თარიღი : 06.10.2017

გაცნობის თარიღი : 06.10.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

null;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მონიავა პ/ნ 29001007571
- თბილისი 9 ძმის ქ. N 2

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განაცხადი. საკითხის შესწავლისას, წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

- წარმოდგენილი უნდა იქნას განმარტება, ვის კუთვნილ კედელზე ხორციელდება მანათობელი აბრის განთავსება. საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა.
- წარმოდგენილი უნდა იქნას სრულყოფილი, კვალიფიციურ დონეზე შესრულებული ფოტომონტაჟი. წარმოდგენილის მიხედვით არ ზუსტდება რა სახის სამუშაოებია დაგეგმილი. ასევე მონტაჟზე სრულყოფილად უნდა იქნას მითითებული ზომები, ნიშნულები და მასალა.
- როგორც ფოტომონტაჟზე ჩანს სხვა სამუშაოებთან ერთად დაგეგმილია ფასადის სამღებრო სამუშაოები და განათების მოწყობა. საჭიროა შესაბამისი ნომენკლატურების დამატება ,,შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება'' და ,, შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი'' აღნიშNულის განსახორციელებლად ჩართულია ნომენკლატურის ცვლილების უფლება.
- ვიტრაჟის სიმაღლეში გაზრდის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას სქემატური არსებული და საპროექტო ჭრილი და კონსტრუქციული დასკვნა.
- ფოტომონტაჟის მიხედვით ასევე არ დგინდება ფასადზე დღეის მდგომარეობით განთავსებული ტექნიკური დანადგარებისა და გამწოვების მომავალი. წარმოდგენილი იქნას განმარტება და შესაბამისად დაკორექტირდეს მონტაჟი.
- წარმოდგენილი მონტაჟის მიხედვით როგორც ჩანს, ხორციელდება ფასადის სიბრტყის გასწორება გზის პროფილის სიბრტყესთან და ამ უკანასკნელის გამოყენება ფასადის ნაწილად. წარმოდგენილი უნდა იქნას აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტება, საჭიროების შემთხვევაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის თანხმობა.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 დღიანი ვადა, აღნიშნულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.